მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
22 აპრილი
1941 წ.
№ 94 (6099)
ფასი 15 კაპ.

კოლმეურნეობათა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის გამარტივებისათვის

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი** დაუღალავად ზრუნავენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის, კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის.

საკოლმეურნეო წარმოებაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის ამოცანა მოითხოვს სწორად და მთლიანად გამოვიყენოთ შრომისუნარიანი მუშახელი, ჩავაბათ იგი უშუალოდ წარმოებაში მინდვრებსა და ფერმებში, კოლმეურნეობებში ვიყოფილითო მოქნილი, მარტივი სამმართველო აპარატი, რომელიც სანიმუშოდ დაადგებს აღრიცხვასა და ანგარიშწარმოებას, თვალისჩინვით დაიცავს საკოლმეურნეო ქონებას და უზრუნველჰყოფს საწარმოო საშუალებათა სწორად გამოყენებას.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი რაიონის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები არასაკმაო ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობათა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის გაიაფებასა და გამარტივებას. ამ მხრივ ადგილი აქვს სერიოზულ დამახინჯებებს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ვხვდებით სამმართველო აპარატის გაბერილ შტატს, შექმნილია აპარატში მომსახურების ზედმეტი თანამდებობანი. ამის შედეგად შრომისუნარიან კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ საკოლმეურნეო წარმოებაში არ მუშაობს, ვხვდებთ შრომადღეების განაივების ფაქტებს. იმ დროს, როცა საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში საჭიროა მეტი მუშახელი, ხშირად აპარატებში სხვადასხვა თანამდებობაზე მყოფნი დატვირთული არ არიან და შრომის უფრო მეტ ანაზღაურებას ღებულნ, ვიდრე ფიზიკურად მომუშავენი.

თბილისის რაიონის სოფ. სოღანლუღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ - სამმართველო აპარატში 1940 წელს 184 კაცი მუშაობდა. მას ჰყავს 6 ბუხალტერი, ბუხჰალტრის თანაშემწე, 7 მოანგარიშე, საწყობის სამი გამგე, მდივანი, მოლარე, 5 შოფერი და სხვ. კოლმეურნეობა შრომადღეებით ინახავს 40 გამყიდველს და 2 პარაკაბეჩრს. აპარატში მომუშავე კოლმეურნეებს 1940 წელს დაერიცხათ 61.365 შრომადღე და გარდა ამისა მათ შენახვაზე ყოველთვიურად იხარჯებოდა 16.850 მანეთი. ქარელის რაიონის სოფ. არადეთის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში შეპქმნეს მემინდვრის თანამდებობა, რომელსაც ნამუშევრის ხარისხის შემოწმებისათვის თვეში 45 შრომადღე ეწერებოდა. ამავე რაიონის სოფ. ხვედურეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში 166 შრომისუნარიანი კოლმეურნედან 39 განთავისუფლებული იყო ფიზიკური სამუშაოსგან. მათ შენახვაზე გასულ წელს დაიხარჯა გამოშუშავებული შრომადღეების საერთო რაოდენობის 27,6 პროცენტი. აქ სამიმმართველო კოოპერატივის ნოქარს ლ. ცხენოსანიძეს ყოველთვიურად 10 შრომადღეს ურიცხავდნენ.

თელავის რაიონის სოფ. სანოინრის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობაში 1940 წელს გამოშუშავებული 87.444 შრომადღიდან — 21.872 შრომადღე ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შენახვაზე დაიხარჯა. აქ ჰყავთ ფიზკულტურის განთავისუფლებული მუშაკი, დეკორატიული ბაღის ფასიანი ხელმძღვანელი. ამავე რაიონის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის ორის ნაცვლად გამოყოფილი ჰყავს 6 მეველე, რომელთაც ყოველთვიურად 180 შრომადღე ეწერებათ. წალენჯიხის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოადგილეები განთავისუფლებული არიან ფიზიკური სამუშაოსგან. საგარეჯოს სასოფლო-საბჭოში მომუშავე 4 აღმასრულებელი კოლმეურნეობის ხარჯზეა. ეს ფაქტები გამონაკლისს როდი წარმოადგენენ.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოების, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელთ ამოცანაა გულდასმით შეამოწმონ და გადასინჯონ ყველა კოლმეურნეობაში ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლებულ მუშაკთა შემადგენლობა, დაეხმარონ კოლმეურნეობებს ბოლო მოეღონ გაბერილ შტატებს, იყოლონ ისეთი ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატი, რომელიც ყოველ მხრივ შეესაბამება თვითეული კოლმეურნეობის შესაძლებლობას, მის ოდენობასა და შემოსავლიანობას.

კოლმეურნეობათა გამგეობებმა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღონ შრომადღეების განაივებას, აღკვეთონ შრომადღეების დარიცხვა პარიკმახერებზე, ჭაღრავებზე, მეჩექმეებზე და სხვ. ამ მუშაკებს, რომელნიც კოლმეურნეთა პირად ინტერესებს ემსახურებიან, შრომა უნდა აუნაზღაუროდეთ თვით კოლმეურნეებს მიერ.

შეუწყნარებელია შრომადღეების დარიცხვა საზოგადოებრივ საქმეთათვის შესრულებისათვის. საკოლმეურნეო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, კედლის გაზეთების რედაქტორები, კულტმუშაკები, ფიზკულტურის ხელმძღვანელები და სხვ. არ თავისუფლდებიან მინდვრისა და სხვა საწარმოო სამუშაოებისაგან. ისინი საზოგადოებრივ დავალებებს უნდა ასრულებდნენ არასამუშაო საათებში.

შეუწყნარებელია აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოადგილეებისა და სარეგიზო კომისიების თავმჯდომარეებისათვის შემდეგი ანაზღაურების დადგენა. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოადგილეებს ამ სამუშაოსათვის შრომადღეები უნდა დაერიცხოთ იმ დროს, როცა ისინი თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებენ, ხოლო სარეგიზო კომისიის თავმჯდომარეებს — რეგიზიის ჩატარებისათვის დახარჯული დროის მიხედვით.

პარტიის რაიკომების მდივნებმა, რაისამხრეთის აღმასკომების თავმჯდომარეებმა, სამმეურსაჯომმა, რაიმიწკანების გამგეებმა, მტს-ების დირექტორებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა მთელი სერიოზულობით უნდა მოჰკიდონ ხელი კოლმეურნეობათა ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დაწესებულ ადმოფხვრის, კოლმეურნეობათა ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის გაიაფებასა და გამარტივებას მოგვცემს მუშახელის მეტ რაოდენობის უშუალოდ საკოლმეურნეო წარმოებაში სამუშაოდ, კიდევ უფრო გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, გაადიდებს შრომადღის ღირებულებას და ყოველმხრივ შეუწყობს ხელს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

ტაჯიკური ხელოვნების დეკადა მოსკოვში

ტაჯიკური ნაციონალური კულტურის დღესასწაული

**დეკადის უმაღლესი კომისიის ბიუროს დასწრენენ ამხანაგები: ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. ი. კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიკოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ს. ბუბნოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიკოიანი, ა. ა. ანდრეევი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ს. ბუბნოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ვ. სნეჭკუსი, ა. ა. ანტონოვ-ოვსეენკო, ლ. ზ. მერეკალოვი, ნ. ნ. ბეგოვატოვი, ნ. ნ. ბეგოვატოვი, ნ. ნ. ბეგოვატ

ვიბრძოლოთ XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის

დრო აქაც სრულდებოდეს გეგმები

(ბარაბოლელი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა (დირექტორი ამხ. ვ. რიაზანცევი) ერთერთი ყველაზე დიდი საწარმოა საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში. ის აშზადებს ვენერ სკამებს და სხვა გრეხილ ავეჯს.

ფაბრიკამ თავისი არსებობის 15 წლის განმავლობაში მხოლოდ 1939 წელს 102 პროცენტით შეასრულა საწარმო-საფინანსო გეგმა, თუმცა მთავარი სახის პროდუქციის — ვენერი სკამების გამოშვების გეგმის შესრულება 2 პროცენტი მაინც დააკლდა.

გასულ წელს ფაბრიკას 200 ათასი ცალი ვენერი სკამი უნდა გამოეშვა, ფაქტიურად დაამზადა 127.973 ცალი, ანუ გეგმის 64 პროცენტი. საერთო პოდეკეთის გამოშვების გეგმა ფაბრიკამ მხოლოდ 77,4 პროცენტით შეასრულა.

როგორ მუშაობს ფაბრიკა მიმდინარე წელს? ობრძოს თუ არა საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის? აქ ისევ ყველაფერი ძველებურად მიდის: არ სრულდება საწარმოო გეგმები, არ სწარმოებს მუშაობა მტკიცე გრაფიკით, ფაბრიკას არა აქვს ნედლეული და დამზმარე მასალები.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციისათვის მზადებამ ფაბრიკაში დიდი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია. ამის შედეგად იანერის საწარმოო-საფინანსო გეგმა 104 პროცენტით შესრულდა, ხოლო ვენერი სკამების გამოშვებისა — 109 პროცენტით. მაგრამ ეს წარმატებანი ვერ შეინარჩუნეს. თებერვალსა და მარტში ფაბრიკას საწარმოო გეგმები არ შეუსრულებია.

წელსაც ცუდად სწარმოებს ფაბრიკის მომარაგება ნედლეულით და საწყისი მასალით. ფაბრიკას ნედლეულით ამარაგებენ ხარაგოლის, საჩხერის, ზუგდიდის, ხეთის, ბორჯომის სატყეო მეურნეობები და აბაშეთის, მეცხეთის, კალაქსხდის, ჯალაბეთის სახერხი ქარხნები, მაგრამ ხარაგოლის სატყეო მეურნეობის გარდა არცერთი მეურნეობა და ქარხანა არ ასრულებს თავის ვალდებულებას. საჩხერის სატყეო მეურნეობამ (დირექტორი ამხ. სანაკოევი) მორების მოწოდების პირველი კვარტალს გეგმა მხოლოდ 31 პროცენტით შეასრულა, ზუგდიდისამ (დირექტორი ამხ. კ. აფაჩიძე) — 25 პროცენტით, ხეთისამ (დირექტორი ამხ. კოკაია) — 4,5 პროცენტით, ხოლო ბორჯომისამ (დირექტორი ამხ. ს. კიკნაძე) — 58 პროცენტით.

ასევე უმნიშვნელო პროცენტით შეასრულეს ფაბრიკისათვის ნედლეულის მოწოდების გეგმა ახმეტის, კაკასხიდის და მცხეთის სახერხმა ქარხნებმა და ჯალაბეთის სატყეო კომბინატმა.

საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი გადამჭრელ ზომებს არ იღებს მარელისის გრეხილ - ავეჯეულობის ფაბრიკის ნედლეულით მოსამარაგებლად. ამიტომაა, რომ ფაბრიკამ მარტში მიიღო ბრძანებანი გათვალისწინებული ნედლეულის მხოლოდ 38 პროცენტი.

მარელისის გრეხილ - ავეჯეულობის ფაბრიკაში ადგილი აქვს მოელი რიგ სხვა დეფექტებსაც. არასაკმარისად სწარმოებს მუშაობა მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ახალი კადრების მოსამზადებლად. ამის შედეგად ფაბრიკას აკლია კვალიფიკიური მუშა-ხელი ლენტურ ხერხზე და გამხეხ დაზგებზე. დღემდე ყველა სამეურნეო არ არის დაზუსტებული ტექნოლოგიური პროცესები ყველა დეტალზე. მაგალითად, ვენერი სკამის ცარგი (რკალი) მეორე დამამზადებელ საამქროში ზედმეტ მოძრაობას აკეთებს, როცა შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება დაზიის გადადგმით. ეს კი აწუხებდა საამქროს წარმადობას.

არის ასეთი შემთხვევებიც: საამქროს ოსტატი დამზმარე მუშის საქმეს ასრულებს, ნაცვლად იმისა, რომ საწარმოო უბნის ხელმძღვანელი იყოს. მეორე დამამზადებელ, მოუნავ და ამწყობ საამქროებში ოსტატები თვითონ დარბიან დეტალებისა და დამზმარე მასალების მომარაგებისა და გადაზიდვისათვის.

ფაბრიკის სრული დაუტვირთველობით მუშაობა ნახშირის გადაბარჯვას იწვევს. ხშირია შემთხვევები, როცა ერთი ან ორი საამქროს მუშაობისათვის მთელი სმალოგრით მუშაობენ ძალდანადგარები.

დაცული არ არის ავრეთვე სიუფთავე როგორც საამქროებში, ისე ეზოსა და მუშათა საცხოვრებელ ბინებში.

ფაბრიკას საუკეთესო მუშაობის ყველა პირობა მოეპოვება, მაგრამ არ იყენებენ. ამ საქმეში მას უნდა დაეხმაროს სატყეო კომისარიატი და საკ. კ. პ. (ბ) ორკომიკომის რაიკომი.

დ. ბაბრიაძე

სახელმწიფო ქონება მოუვლელობით ნიავდება

წითელწყაროს („კომუნისტის“ კორ.). წითელწყაროს რაიონის ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ გამოიტანეს საჭირო დასკვნები საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან. რაიონში ადგილი აქვს საწყავი მასალის გადაბარჯვისა და ავტომანქანების მოუვლელობის შემთხვევებს.

წითელ წყაროს რაისაბჭოს აღმასკომის კომეწალურმა განყოფილებამ ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში კოლმეურნეობას ავტომანქანის რეზინსაფრები მიჰყიდა. ამის გამო ორი ავტომანქანა უქმად დგას, ნაწილები იკარგება, ამ მდგომარეობას კი ყურადღებას არავინ აქცევს.

რაიშმენახელეში სალარომ (გამგე—ს. ტერიაშვილი) 1940 წელს შეიძინა შუბუქი ავტომანქანა, რომელიც მხოლოდ ერთ თვეს აშუშავეს. მას შემდეგ მანქანა შემნახველი სალაროს შემოუკავებელ ეზოში უპატრონოდ არის მიტოვებული.

ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი—ე. ახალდიანი) ხუთი ავტომანქანა უქმად დგას სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო. ავტოგარაჟის გამგე დანელია მანქანის ნაწილებს თავის ნებასურვილზე ანაოვებდა, რისთვისაც ის პასუხისგებაშია მიცემული, მაგრამ საქმის გამძიღებას აჭიანურებენ.

ვ. ტუხაშვილი

სოციალისტური შეჯიბრება სუბტროპიკულ და ჭექნიკურ კულტურათა უხვი მოსავლისათვის

სოხუმი, („კომუნისტის“ კორ.). აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობები ენერგიულად მუშაობენ პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილებისა და მახარაძეთა მოწოდების ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ერთმანეთს ეჯიბრებიან გაგრის რაიონის სოფ. პილენკოვოს სტალინის სახელობის ახლადდასახლებული კოლმეურნეობა და სოფელ სალმეს სტალინის სახელობის ეს ტონელეთა კოლმეურნეობა. სალმეს კოლმეურნეობაში 8. ტანგელის რგოლმა ვადაზე დადამთავრა მანდარინის რგვა 1,5 ჰექტარზე. ი. ლოკის ბრიგადის „მესამე რგოლმა დაამთავრა 2 ჰექტარი ვენახის რემონტი, ხოლო მეოთხე და მეხუთე რგოლები ახალ ვენახს აშენებენ 2 ჰექტარზე.

დიდ ინიციატივას იჩენენ პილენკოვოს სტალინის სახელობის ახლადდასახლებული კოლმეურნეობის წევრებიც. ი. ხურციოლავას რგოლი ვენახობაზე ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 30 ცენტნერი სიმინდის მოსავალი. რგოლის წევრები იცნობენ სიმინდის მაღალი მოსავლის განთმეული ოსტატის ჩ. ქვაჩახიას მეთოდს და ნელ 1 ჰექტარზე ეს ოსტატი ... ...

პარტიული ცხოვრება

პარჭორგანოების ანგარიშგება-არჩევნები პირველად პარჭიულ ორგანიზაციებში

გაეაუმჯობესოთ ვაგონების შეკეთების ხარისხი

(თბილისის ტრამვაის სახელოსნოები)

თბილისის ტრამვაის სამმართველოს სახელოსნოებმა გასულ წელს ცუდად იმუშავეს. სამარცხვინოდ ჩამორჩენენ გეგმის შესრულებაში, ყველა სახის შეკეთების გეგმა შეასრულეს მხოლოდ 66 პროცენტით. მიმდინარე წელს სახელოსნოების კოლეკტივი ჩაება XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. პირველი კვარტალის გეგმა სახელოსნოებმა შეასრულეს 109 პროცენტით. შედარებით გაუმჯობესდა ვაგონების შეკეთების ხარისხი, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ შემცირდა ხაზიდან სახელოსნოებში ვაგონების შესაკეთებლად ყოველდღიურად შესვლა.

წარმატებანი უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ სახელოსნოების სამმართველო პარტბიუროს, მთლიანად პარტიულ ორგანიზაციას ემუშავნა ახალი სტილით. 20 აპრილს სახელოსნოების კომუნისტები შეიკრიბნენ პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სამმართველოს პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. ილიევი, რომელიც თავის მოხსენებაში თითქმის ყველაფერზე ილაპარაკა, მაგრამ არსებითი, მთავარი საკითხები ზოგადად მოხსნა. მოხსენება ნაკლებად თვითკრიტიკული იყო. ამხ. ილიევმა, ეტრფად, ძალიან მკრთალად გააშუქა ის, თუ პარტიულმა ორგანიზაციამ რა ღონისძიებანი გაატარა მუშაობის არსებითად გარდაქმნისათვის, XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომბინატის V პლენუმმა აღნიშნა ტრამვაის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. პლენუმმა ტრამვაელ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს უაღრესად სერიოზული ამოცანები დაუსახა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამოცანების განუხრელად გატარებისათვის ჯერ კიდევ ცოტა კეთდება.

კრებაზე როგორც მოსწენიდან, ისე კამადიდან გამოიკვეა, რომ საამქროში ბოლშევიკური აგიტაცია სუსტად არის დაყენებული. აგიტატორები ვ. ბოჩკოვი, ა. ლაფანაშვილი (ამწყობი საამქრო) სუსტად მუშაობენ. არასაკმაო ყურადღებას ეძლევა საწარმოო მიწყობილობის აღრიცხვასა და დაზგების შეკეთებას, რაკი ონალურ წინადადებათა გატარებას. მაგალითად, 2½ წელია, რაც შეტანილ იქნა წინადადება ვაგონის წყვილის გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ ეს წინადადება, მიუხედავად იმისა, რომ სასარგებლოა, დღემდე უყურადღებოდ არის მიტოვებული.

სახელოსნების უფროსმა ამხ. ვ. მანუკოვმა ილაპარაკა იმაზე, რომ სისუფთავეს დარეში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მან გააკრიტიკა კომუნისტების აზოტოვისა და ტურენის უხეირო მუშაობა.

გაბედულო, საქმიანი კრიტიკით გამოვიდა ამხ. მ. დანჩენკო. მან მკაცრად გააკრიტიკა როგორც პარტიული ორგანიზაციის, ისე სახელოსნოების ადმინისტრაციის მუშაობა.

არასაქმიანი სიტყვით გამოვიდა ტრამვაის სამმართველოს ტექნიკური კონტროლის უფროსი ამხ. ა. ჭინტერია. მან ერთი სიტყვაც არა სთქვა იმის შესახებ, თუ სახელოსნოებში როგორ იცავენ ტექნოლოგიურ დისციპლინას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. ა. აგამალიანმა, შ. კაკაბაძემ, შ. წივილაშვილმა, შ. ჯავახიშვილმა, გ. ხასიამ (ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს პარტბიუროს მდივანი).

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიონის მდივანი ამხ. ვ. ლოლაძე, რომელმაც ილაპარაკა ტრამვაის სახელოსნოების პარტორგანიზაციის მუშაობის ცალკე საკითხებზე და კრების ყურადღება გაამახვილა XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელების ღონისძიებებზე.

პარტბიუროს მიერ ჩატარებული მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სქნო და აირჩია სამქროთა პარტბიუროს 5 კაცის შემადგენლობით. პარტბიუროს მდივნად არჩეულ იქნა ამხ. მ. კაზარეული.

○

ორიოდე სიტყვა საანგარიშო კრების ორგანიზაციულ მხარეზე. კრება დანიშნული იყო 10 საათზე, ფაქტიურად დაიწყო 10 საათსა და 45 წუთზე. კრებამ მოკამათეთათვის განსაზღვრა 5 წუთი. ყველა მოკამათემ ფაქტიურად ილაპარაკა 10 წუთი და მეტი. თავმჯდომარეს ყოველი მოკამათის სიტყვის გასაგრძელებლად უხდებოდა კრებისათვის მიმართვა, რის გამოც უნაყოფოდ იკარგებოდა დრო. ამ დღეებში ტრამვაის სამმართველოში უნდა ჩატარდეს რამდენიმე საამქროს პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებები. საჭიროა ამ შენიშვნების გათვალისწინება, რომ კრებები უფრო ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩავატაროთ.

ვ. ალიძე

თბილისის თამბაქოს ფაბრიკის პარტიის ოთახის მდივანი ამხ. **კ. მანუკო

ინგლისს-გერმანიის ომი

ბერლინი, 20 აპრილი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იტყობინება: 19 აპრილს, ღამით, გერმანიის ასეული თვითმფრინავები მთელ ღამის განმავლობაში დიდძალ ფუგასურ და ცეცხლგამჩენ ყუმბარებს ყარიდნენ ლონდონზე. რაიონებში, როშლებიც ტემზის ეკვრინის მილუოლის დოკებსა და გრინვიჩის უბანში მრავალ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა.

ინგლისის ავიაცია გუშინ გერმანიის ტერიტორიაზე არ გამოჩენილა.

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, 19 აპრილს, ღამით, გერმანიის თვითმფრინავებმა ახალი ძლიერი თავდასხმა მოახდინეს ლონდონზე. თავდასხმა მთელ ღამეს გრძელდებოდა. მტრის თვითმფრინავები თავს ესხმოდნენ ქალაქს თანამიმდევრულ ტალღებად, შუქოვანი მაშხალის სინათლეზე ჰყოფდნენ ფუგასურსა და ცეცხლგამჩენ ყუმბარებს. ქალაქში გაჩენილი ხანძარი ჩქარა ჩაქრეს. ბომბარდირებამ სერიოზული ზარალი გამოიწვია და, როგორც ფიქრობენ, მეტად დიდი მსხვერპლიც. ინგლისის საზენიტო ბატარეებმა მტრის თვითმფრინავებს ძლიერ ინტენსიურად აუტეხეს სროლა.

ლონდონის გარდა, ბომბარდირება განიცადა აგრეთვე ინგლისის ზოგიერთმა სხვა რაიონებმა, უმთავრესად ინგლისის სამხრეთმა და სამხრეთ - აღმოსავლეთმა.

ინგლისის საზღვაო მინისპრის გამოსვლა

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). რეიტერის საგაზეთო ეტყობინება, რომ დღეს ლონდონში საზღვაო მინისტრი ალექსანდერი გამოვიდა განცხადებით ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოქმედების შესახებ.

შეეხო რა „ატლანტის ოკეანესათვის ბრძოლას", ალექსანდერმა აღნიშნა, რომ ინგლისის ხომალდთა და თვითმფრინავთა მოქმედების შედეგად მტერმა დაკარგა თითქმის 2,5 მილიონი ტონა საერთო წყალწყვის გემები. მიუხედავად იმისა, რომ ატლანტის ოკეანესათვის გაადვილებული ბრძოლა სწარმოებს და ინგლისი ძმის ენანავლისს განიცდის, მას ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეუსუსტებია. ალექსანდერმა აღნიშნა, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავები ინგლისს ომის ბოლოს ლონდონში ან ბერლინში ვერ გამარჯვებულ ვერ ვერ ვერ ... ...